პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

29 ივნისი ხუთშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 151 (15364)

ხუთწლედი — ვადამდე!

გეგმა შესრულებულია

საქართველოს მრეწველობის მშრომელთა ახალი წარმატება

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები აქტიურად ეჯიბრებიან ერთმანეთს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად მშრომელები ცდილობენ განუხრელად აამაღლონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საშუალებით.

იბრძვიან რა ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა განხორციელებისათვის, მრეწველობის მშრომელები დღესასწაულის წინა ვახტს აღნიშნავენ დამკვრელური შრომით. 28 ივნისს საქართველოს მრეწველობამ ვადამდე შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა. თვის დამლევამდე გამოშვებული იქნება მილიონი მანეთით მეტი ღირებულების ზეგეგმითი ნაწარმი სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის.

შეჯიბრების ავანგარდში [illegible] დამმუშავებელი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების, ჭიათურის მანგანუმის ტრესტის საწარმოთა, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, სოხუმის ხელსაწყოთა ქარხნის, ბათუმის მანქანათსაშენებლო ქარხნის, მახარაძის აბრეშუმსახვევ-საგრეხი ფაბრიკის, ცხაკაიას ხალიჩის კომბინატისა და სხვათა კოლექტივები.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიპყრონ ხუთწლედის ახალი მიჯნები და ღირსეული წვლილი შეიტანონ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული, ამოცანები მოითხოვენ კვალიფიციურ მუშათა მომზადების ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებას. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, აღნიშნულია დადგენილებაში, ახალგაზრდობის პროფესიული მომზადებისა და მუშათა კლასის ღირსეული შევსების ჩამოყალიბების ძირითადი სკოლა ხდება. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სპეციალობას დაუფლებული ბევრი ახალგაზრდა მუშა წარმოების მოწინავე რაციონალიზატორი, შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელი გახდა. ამ ბოლო წლებში სწრაფად ვითარდება საშუალო პროფესიულ-ტექნიკური საასწავლებლები, რომლებშიც ახალგაზრდობა იძენს პროფესიასაც, ზოგად საშუალო განათლებასაც.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მუშაობაში არის ხერხოზული ნარევები. სასწავლო პროცესში ჯეროვნად არ არის უზრუნველყოფილი მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა, ყოველთვის არ არის გათვალისწინებული მუშათა შრომის შინაარსში მომხდარი ცვლილებები. ნელა მუშავდება პროფესიულ-ტექნიკური განათლების მეცნიერული პრობლემები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს დაავალეს განახორციელონ ღონისძიებანი პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან ნაქმიანობაში ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის, სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. იბრძოლონ, რომ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები ამზადებდნენ ყოველმხრივ განვითარებულ, ტექნიკურად განათლებულ ახალგაზრდა მუშებს, იდეურად მტკიცე, პროფესიულ ოსტატობას დაუფლებულ მუშებს, რომლებსაც შეეძლებათ აითვისონ და სრულყონ ახალი ტექნიკა, აბრავლონ კომუნიზმის მშენებლობა ავანგარდში მიმავალი, მუშათა კლასის რევოლუციური და შრომითი ტრადიციები.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების შემდგომი სრულყოფის მიზნით საჭიროა:

გავაფართოოთ და განვამტკიცოთ საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები როგორც მუშათა კლასის ახალგაზრდა შევსების მომზადების უველაზე პერსპექტიული ფორმა, უზრუნველვყოთ იქ ახალგაზრდობის პროფესიული და ზოგადი საშუალო განათლების მაღალი დონე;

განვავითაროთ ტექნიკური სასწავლებლები, რომლებიც სამუშაო კვალიფიკაციას აძლევენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლადამთავრებულ ახალგაზრდობას, ავამაღლოთ მათი როლი პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში, მუშათა კლასის ღირსეული შევსების მომზადებაში;

გავაუმჯობესოთ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მუშაობა, რომლებიც ამზადებენ მასობრივ პროფესიათა კადრებს 1-2 წლიანი სწავლების ვადით, შევქმნათ საჭირო პირობები, რათა მოსწავლეებმა განაგრძონ ზოგადი განათლება მუშა ახალგაზრდობის სალამოს (ცვლიან) სკოლებში. საწარმოთა ხელმძღვანელებმა ყოველნაირად უნდა იზრუნონ, რათა ზოგადი საშუალო განათლება დაამთავროს ახალგაზრდობამ, რომლებიც ქარხნებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში მივა ამ სასწავლებლთა დამთავრების შემდეგ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მისცეს ქვეყნის სამეურნეო განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივის შემუშავებისას გათვალისწინონ საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის შემდგომი გაფართოება, რათა თანმიმდევრულად განახორციელონ პროფესიულ-ტექნიკური განათლების გადასვლა საშუალო განათლების მქონე მუშათა მომზადებაზე.

სრულყონ მუშათა კადრების სასწავლებლებში მომზადების პერსპექტიული დაგეგმვა, განახორციელონ მათი დროზე დაკომპლექტების ღონისძიებანი. გაადიდონ მუშათა გამოშვება, განსაკუთრებით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი და სწრაფად განვითარებადი დარგებისათვის. განახორციელონ სასწავლებელთა სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების ღონისძიებანი, აღჭურვონ სასწავლო სახელოსნოები და მეურნეობანი, ლაბორატორიები და კაბინეტები თანამედროვე მოწყობილობით, ხელსაწყოებით, ინსტრუმენტებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიასთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად წინადადება მიეცეს შეიმუშაოს 1972-1974 წლების მანძილზე სასწავლო გეგმები და პროგრამები საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის, რომლებშიც უზრუნველყოს პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების მეცნიერულად დასაბუთებული თანაფარდობა, ერთმანეთს დაუკავშირონ სასწავლო, აღმზრდელობითი და საწარმოო პროცესები; მოამზადოს და გამოსცეს ახალი სასწავლო პროგრამების შესაბამისად სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის მეცნიერების, ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ მოსწავლეთა სწავლების ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების დანერგვა, ფართოდ გამოიყენონ თანამედროვე ტექნიკური საშუალებანი სწავლების პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის გაძლიერებას.

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა დირექტორებმა, საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესონ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაცია და ჩატარება, მთავარი ყურადღება დაუთმონ მათ მიერ მიღებული პროფესიული ცოდნისა და უნარის განმტკიცებას, შრომის მაღალმწარმოებლური მეთოდების ათვისებას. პრაქტიკა მოაწყონ მოწინავე საწარმოებში, სადაც მაღალია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დონე. საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებს ეძლევათ დიპლომი საშუალო განათლების დამთავრებისა და პროფესიული თანრიგის მიკუთვნების შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ მოამზადონ მეცნიერული-ტექნიკური ინფორმაცია, რათა მიაწოდონ მასწავლებელთა შემადგენლობასა და მოსწავლეებს ახალი ცნობები სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების შესახებ. სამინისტროებმა და უწყებებმა სისტემატურად უნდა მიაწოდონ მოცემული დარგის შესაბამის სასწავლებლებს ინფორმაცია საბჭოური და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, კადრების მომზადებისა და მუშათა შერჩის ორგანიზაციის დარგში შეძენილი მოწინავე გამოცდილების შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიას წინადადება მიეცათ გააძლიერონ ყურადღება პროფტექგანათლების მეცნიერული პრობლემების დამუშავებისადმი, მეცნიერთა მეცადინეობა მოახმარონ მეცნიერული კვლევის ისეთ მიმართულებებს, როგორიც არის თანამედროვე ეტაპზე პროფტექგანათლების შემდგომი სრულყოფა, ტექნიკური პროგრესის გავლენა მუშების შრომის შინაარსის, მათი ფსიქოლოგიის შეცვლაზე, პროფესიული და ზოგადი განათლების შეხამება საშუალო პროფტექსასწავლებლებში, სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესების შინაარსი და ორგანიზაცია, სხვადასხვა ფორმის პროფესიული სწავლების რაციონალური შეფარდება. მიზნაშეწონილად ცნობილ იქნა სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნას პროფესიულ-ტექნიკური განათლების პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის განყოფილება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ გაითვალისწინონ ინჟინერ-პედაგოგიური მუშაკების მომზადება პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებისათვის. განახორციელდეს ღონისძიებანი პროფტექსასწავლებლების ოსტატთა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, გაძლიერდეს ყურადღება საბჭოთა კავშირის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ინჟინერ-პედაგოგიური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებელი ინსტიტუტების ფილიალების მუშაობისადმი, პერიოდულად, სულ ცოტა 5 წელიწადში ერთხელ, მოეწყოს სასწავლებელთა ინჟინერ-პედაგოგიური მუშაკების ხელახალი ატესტაცია.

დადგენილება ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, რომ სასწავლებლების პირველადი პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და კოლექტივების საქმიანობა წარმართონ მოსწავლეთა სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის ხარისხის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საზოგადოებრივი დისციპლინების შესწავლას, ახალგაზრდობაში კომუნისტური მსოფლმხედველობის საფუძვლების ჩამოყალიბებას, მაღალი მორალური თვისებების, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდას. შექმნან სასწავლებლებში შემოქმედებითი აქტივობის, კოლექტივიზმის, კომუნისტური ზნეობის ნორმების დაცვისადმი მაღალი მომთხოვნელობის ვითარება.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კინემატოგრაფიის კომიტეტმა, სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა, სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად უნდა განმტკიცონ შემოქმედებითი ორგანიზაციების კავშირურთიერთობა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებთან, აქტიურად ჩაებან შემოქმედებითი მუშაკები მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში, რომ ახალგაზრდობა ეზიაროს კულტურასა და ხელოვნებას, შექმნან მაღალმხატვრული ნაწარმოებნი მუშათა კლასის ახალგაზრდა შევსებაზე. ფართოდ განვითარონ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი, სრულიად საკავშირო ხალოგადოება „ცოდნა“, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციები მოწოდებული არიან უფრო ფართოდ უჩვენონ, თუ რა შესაძლებლობებს ქმნის პროფესიულ-ტექნიკური განათლება, რათა ახალგაზრდობამ მიიღოს კვალიფიკაცია და აიმაღლოს ზოგადი განათლების დონე, აქტიურად შეუწყონ ხელი მუშური პროფესიების პრესტიჟის ამაღლებასა და სასწავლებლების ავტორიტეტის განმტკიცებას, უკეთ გააშუქონ სასწავლებლების პედაგოგიური კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება, უფრო სრულად ასახონ სასწავლებლების მოსწავლეთა და კურსდამთავრებულთა სწავლება და შრომა.

საკავშირო პროფსაბჭომ, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უფრო სრულად უნდა გამოიყენონ საწარმოთა შრომითი კოლექტივების შესაძლებლობანი სასწავლებლებში აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, გააუმჯობესონ სასწავლებელთა მუშაკებისა და მოსწავლეების საყოფაცხოვრებო პირობები და სამედიცინო მომსახურება. საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან ერთად ყურადღება არ მოაკლონ სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს შრომითი საქმიანობის დაწყებიდანვე, შეუქმნან საჭირო პირობები საწარმოო შრომისათვის, პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო ზრდისათვის.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურმა კომიტეტებმა, კომკავშირის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ სასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის დონის შემდგომი ამაღლება, სრულყონ მათი მუშაობის ფორმები და მეთოდები. მეტი ყურადღება დაუთმონ ახალგაზრდობაში შრომისა და სწავლისადმი შეგნებული დამოკიდებულების ჩანერგვას, საზოგადოებრივი აქტივობის, ქცევის მაღალი კულტურის განვითარებას. განამტკიცონ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და საწარმოების კომკავშირული ორგანიზაციათა კავშირი. გაშალონ მასობრივი მოძრაობა მოსწავლეთა შორის იმისათვის, რომ ისინი დაეუფლონ ახალ საკავშირო ფიზკულტურულ კომპლექსს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებს და უწყებებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიული ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს განახორციელონ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებელთა მშენებლობის გაუმჯობესების, ნამდვილად ფასიანი, ეკონომიკურად ეფექტიანი, ეკონომიურ-ფინანსური ნორმატივებით, ტიპიური პროექტებით, ინდივიდუალური პროექტებისა და ნაგებობების ხარჯთაღრიცხვებით, ტიპიური ნაგებობებისა და ინდივიდუალური ნაგებობების ნორმატიული ვადებით, ტიპიური ტექნოლოგიური ბანკებით, ტიპიური ინჟინერული ბანკებით, ტიპიური ტექნიკური ბანკებით, ტიპიური ტექნიკური ბანკებით, ტიპიური ტექნიკური

ძმურ, გულითად ვითარებაში

(დასასრული)

სოციალისტური მეურნეობის მოგვარებისათვის, ეკონომიკის აღმავლობისა და ამ საფუძველზე მშრომელი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირეული გარდაქმნა, ახალი ადამიანის აღზრდა მოითხოვენ ყოველდღიურ შეუპოვარ შრომას, ხალხის მთელი ხელიერი და ფიზიკური ძალების კონცენტრაციას. ამ პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტა გვიხდება, როცა შეუპოვრად გიმრძვიან ძლიერი კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, თქვენ კი, ამასთანავე, როცა უშუალოდ ახლოს ხართ ყველაზე დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოსთან.

თუ ყველა ამ სიძნელეებს განვიხილავთ ცალკე, საერთაშორისო ვითარებასგან იზოლირებულად, მაშინ ისინი შეიძლება დაუძლეველად მოგვეჩვენოს. მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ ახლა სოციალისტური რეგიონების ჩასახვა და გამარჯვება მიმდინარეობს პირობებში, როცა სოციალიზმი გაბატონებული მიმართულება გახდა კაცობრიობის განვითარებაში. სოციალისტური კუბა მარტო როდია, იგი მსოფლიო სოციალისტური სისტემის ნაწილია. მის საერთაშორისო პოზიციებს, მის ინტერესებსა და უშიშროებას საიმედოდ იცავენ არა მარტო კუბის კომპარტიის მტკიცე პოლიტიკა და მისი რევოლუციური ხალხის გმირობა, არამედ სსრ კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების მხარდაჭერა და პოლიტიკური წონა. ეს არაერთხელ განვიცადეთ და ამას ვიმეორებთ დღესაც მთელი პასუხისმგებლობით.

როცა ჟოპარაკობთ კუბელი ხალხისადმი ძმურ გრძნობებზე, ეს თავაზიანობის ხარკი და სენტიმენტალობა როდია. ჩვენთვის, საბჭოთა კომუნისტებისათვის, ინტერნაციონალიზმის ლენინურ პრინციპებზე დაფუძნებული მეგობრობა ზუდამ იყო და იქნება დაკავშირებული უაღრესად საქმიან, უაღრესად პრაქტიკულ სოლიდარობასთან. წლითიწლობით საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობა სულ უფრო მდიდრდება და სრული ხდება. იგი შეიცავს მრავალმხრივ თანამშრომლობას, და მუდამ ვართ კვლავაც განვიკითაროთ, ახალ საფეხურზე ავიყვანოთ იგი.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სიტყვაში თქვენ, ამხანაგო ფიდელ, ხაზი გაუსვით აზრს, რომ ლენინის მოძღვრების საყოველთაო ხასიათი აქვს, რომ ამით უნდა ხელმძღვანელობდეს თვითეული ნამდვილი რევოლუციონერი.

მართლაც, ლენინიზმი ის იდეური საფუძველია, რომელიც განსაზღვრავს მუშათა კლასის, სხვადასხვა ქვეყნის შრომელთა მიზნებსა და პოლიტიკას, თანმიმდევრულად ინტერნაციონალურ ხასიათს ანიჭებს მათს ბრძოლას. ამიტომ კომუნისტებისათვის, რომლებიც ამ დიადი მოძღვრების იდეებს ახორციელებენ თავიანთი ქვეყნების სპეციფიკურ პირობებში, თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, სოციალისტური მშენებლობის ცოცხალი გამოცდილების მუდმივი გაზიარება საარსებო აუცილებლობაა.

თქვენ ეს-ეს არის ეწვიეთ მთელ რიგ მეგობარ ქვეყნებს, რომლებიც ახალ ცხოვრებას აშენებენ, საკუთარი თვალით ნახეთ ამ ქვეყნების ხალხთა დაძაბული შრომის ნაყოფი; ეკონომიკა სოციალისტურ ქვეყნებში გაევანით სოციალისტური მშენებლობის მდიდარ და მრავალმხრივ პრაქტიკას. ახლა თქვენ შესაძლებლობა გაქვთ ნახოთ, თუ რა გაკეთდა უკანასკნელ წლებში ჩვენთან, საბჭოთა კავშირში, რა დიდ ამოცანებს წყვეტს ჩვენი ხალხი, რომელიც პარტიის XXIV კრებობის მიერ დასახულ გეგმებს ასრულებს.

პატივცემულო მეგობრებო!

ჩვენ, კომუნისტებმა, კარგად ვიცით, რომ ჩვენს საერთო-რევოლუციურ მუშაობაში კიდევ ბევრი რთული პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი. მაგრამ ჩვენ აბსოლუტურად გვჯერა, რომ რევოლუციური ცვლილებები, რომლებიც მსოფლიოში ვითარდება, შეუქცევადია. ამის გარანტია მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობა, რომლის პოლიტიკური, ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება დღეითიადაც იზრდება. ამის გარანტია მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეოდრო ურთიერთობა სოციალიზმის მსოფლიო სისტემასთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომლებიც თანმიმდევრულად ახორციელებენ ლენინურ კურსს საერთაშორისო საქმეებში, თავიანთი უპირველეს ამოცანად მიიჩნიათ ყოველი ღონისძიებით განვითარონ სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობა, განამტკიცონ მათი მეგობრობა და ძმური კავშირი. სწორედ სოციალისტური თანამეგობრობა იმპერიალიზმისადმი დაპირისპირებული მთავარი ძალა, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის ბურჯი.

დღეს საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის გზებზე კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის მიღლიონობით მებრძოლი ყველა ქვეყანაში. მათი ავანგარდია საერთაშორისო მუშათა კლასი, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა.

ჩვენ ფხიზლად და რეალურად ვაფასებთ თანამედროვე სიტუაციას, მიუხედავად საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში მიღწეული წარმატებებისა, კიდევ მოგველის ძნიმე ბრძოლა მშვიდობის, ეროვნული და სოციალური განთავისუფლების საქმის მტერთა წინააღმდეგ, მარქსისტ-ლენინელებს ილუსიები როდი აქვთ იმპერიალიზმის ანტახალხური არსისა და მისი აგრესიული მისწრაფებების მიმართ.

ჯერ კიდევ გიზგიზებს ომის ხანძარი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სადაც ვიეტნამის გმირი ხალხი, ლაოსისა და კამბოჯის ხალხები იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ჩვენ გადაგვრია ვეშმობთ ამერიკელთა აგრესიას. ჩვენ გადაგვრია ვეშმობთ უკანასკნელ დროს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განხორციელებული ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაციონალურების ბლოკადა, სახალხო-სამეურნეო ობიექტების, გზებისა და დასახლებული პუნქტების დაბომბვის გაძლიერება. ჩვენ მივესალმებით წარმატებებს, რომლებიც ჩვენმა ვიეტნამელმა მეგობრებმა მოიპოვეს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ომის ესკალაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ მოვითხოვთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი ოოყიბრეების ჯარების მთლიანად გამოყვანას სამხრეთ ვიეტნამიდან, სამართლიანი პოლიტიკური მოწესრიგების ნიადაგზე ომიერ ეროვნულ ერთიანობის აღდგენას, ამ ქვეყნის ფედერალური რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ, კამბოჯის ეროვნულმა ერთიანობა ფრონტმა და ლაოსის პატრიოტულმა ფრონტმა წამოაყენეს. საბჭოთა კავშირის პოზიცია ამ საკითხში ნათელი და უკვალოა. ჩვენ მხარს ვაფენ და ყოველნაირად დაგეხმარებთ ვიეტნამელ ხალხს მისი სამართლიანი საქმის გამარჯვებამდე.

კვლავ რთული და საშიში მდგომარეობაა ახლო აღმოსავლეთში. ისრაელი აგრესორები, რომლებიც უკვე ხუთ წელიწადზე მეტი ხანია უწევენ ოკუპაციას არაბულ მიწებს, ეიუტად განაგრძობენ თავიანთი დამპყრობლური პოლიტიკას. საჭიროა განმუხტოს აქ ვითარება, და ეს შესაძლებელია განხორციელდეს ეს კიდევაც უნდა განხორციელდეს მხოლოდ არაბეთ სახელმწიფოთა იმ სამართლიანი ნოსტალგიების საფუძველზე, რომლებიც მიზნად ისახავენ აგრესორის ჯარების გაყვანას უშიშროების საბჭის 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის შესრულების საფუძველზე.

მშვიდობიანი მოწესრიგების მიღწევა ინდოჩინეთსა და ახლო აღმოსავლეთში დღევანდელობის უაღრესადრესი ამოცანაა, რომელიც განუხრელად უკავშირდება დაძაბულობის შესუსტების პრობლემებს მთელ მსოფლიო.

საბჭოთა კავშირი სოციალიზმის ზომიერ ქვეყნებთან ერთად მხარს უჭერს ყველა კონტინენტის ხალხთა ბრძოლას ყოველგვარი ფორმის კოლონიური და ნეოკოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, იმ წამოთაწამიდა უფლებისათვის, რომ თვითონვე წყვეტდნენ თავიანთ ბედს.

ჩვენ აქტიურად ვემონაწილეობთ ეპოქის სოციალურ ბრძოლებში და ვეფარგებით გამოვიყენთ ჩვენი გავლენა, ჩვენი რეალური წონა მთელი სოციალისტური სისტემის, თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალების ინტერესებისათვის. კომუნისტებს თავიანთ ნოვალეობად მიიჩნიეთ ხალხთა მისწრაფებების შესაბამისად იბრძოლონ მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ, თანდათანობით დამკვიდრონ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, გამონახონ სადავო პრობლემათა გადაჭრის გზები მოლაპარაკების საფუძველზე. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა კაცობრიობის ხვალინდელი დღე ნამდვილად მშვიდობიანი დღე იყოს!

საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლაში უკანასკნელ წლებში მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები. ჩვენ დავამყარეთ და წარმატებით ვავითარებთ თანამშრომლობას საფრანგეთთან და ევროპის მთელ რიგ სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან. ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ახალი შესაძლებლობანი ისახება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მიერ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან დადებული ხელშეკრულებათა ძალაში შესვლის შემდეგ. საზღვრების ურღვევობის პრინციპის დადასტურება, ძალის გამოყენებისა და ძალის გამოყენებით დამუქრებაზე უარისთქმა — ყოველივე ეს კეთილსაყოფილად მოქმედებს საერთო მსოფლიო პოლიტიკურ კლიმატზე.

სწორედ ამ პოზიციებიდან — ყველა ქვეყნისა და ხალხის თანასწორობის ცნობისა და კანონიერი ინტერესების პატივისცემის საფუძველზე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის განმტკიცების პოზიციებიდან ვუდგებოდით საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებასაც უმაღლეს დონეზე. ჩვენი თვალსაზრისით, ამ მოლაპარაკების შედეგები ასახავენ მსოფლიოში შექმნილ რეალურ მდგომარეობას. ისინი შეუსაბამებიან საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს. საქმე ახლა მიღწეულ დიდ მნიშვნელოვან შეთანხმებათა პრაქტიკული რეალიზაციაა.

როცა ვიდგეთ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის დამკვიდრებისათვის, ჩვენ გვესმის, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის წარმატებანი სრულიადაც არ ნიშნავს იდეოლოგიური ბრძოლის შესუსტების შესაძლებლობას. პირიქით, მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ ეს ბრძოლა უფრო გაძლიერდეს, ორი სოციალური სისტემის ბრძოლის სულ უფრო მწვავე ფორმა გახდება. ჩვენ სრულიადაც არ გვეპარება ეჭვი, თუ როგორ დასრულდება ეს ბრძოლა, რადგან ისტორიის სიმართლე, საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონები ჩვენს მხარეზეა!

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ამხანაგებო, რომ სკკპ XXIV კონგრესის მიერ განსაზღვრული ჩვენი პარტიის საგარეოპოლიტიკური კურსი სავსებით შეესაბამება კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1969 წლის საერთაშორისო თათბირის მიერ დასახულ ამოცანებს.

ამ ბოლო ხანს ბევრს ლაპარაკობენ მსოფლიო საქმეებში ასპა თუ იმ სახელმწიფოს როლის შესახებ. ბეიჯინგი ასეთი ტერმინიც — „ზესახელმწიფოები“. ჩვენ ვილაქარებთ სხვადასხვა ქვეყნის მორის კლასობრივი განსხვავების მიჩქმალვის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირი მართლაც დიდი და ძლავარი სახელმწიფოა, მაგრამ ეს არის უწინარეს ყოვლისა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც აბორეიცულებს კლასობრივ სოციალისტურ საგარეო პოლიტიკას. ასეთსავე პოლიტიკას, და არა „დიდ“ თუ „პატარა“ სახელმწიფოების პოლიტიკას ახორციელებენ სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნებიც, რომლებიც მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი საერთაშორისო ასპარეზზე ბრძოლაში სოციალიზმის ძალების განმტკიცებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა, მშვიდობიან შრომაზე ყველა ხალხის თანაბარი უფლებებისათვის.

ძვირფასო ამხანაგო ფიდელ!

მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ თქვენს ვიზიტს, დაწყებულ მოლაპარაკებას. გულწრფელად გვანაზრებს იმის შესაძლებლობა, რომ საფუძვლიანად გავუსინჯეთ ერთმანეთს ბარები ყველა საკითხზე და ერთად დავსახავთ საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობის შემდგომ ყოველმხრივი განვითარების გზას. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი შეხვედრა თქვენთან კიდევ უფრო შეაკავშირებს ჩვენს პარტიებსა და ხალხებს საერთო რევოლუციურ მუშაობაში.

ნება მიბოძეთ ახლა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა დამსწრეს სახელით ერთხელ კიდევ გულთბილად მოგიოცოთ ლენინის ორდენით დაჯილდოება. ამ ჯილდოთი ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი აღნიშნავენ თქვენს, როგორც მომძე კუბის ხელმძღვანელის, ჩვენი ქვეყნის ერთგული მეგობრის, საერთაშორისო კომუნისტური მორაობის თვალსაჩინო მოღვაწის დამსახურებას.

სასიამოვნოა აღვნიშნოთ, რომ მომძე ქვეყნებში, სადაც კი იყავით, კომუნისტები, მშრომელები გზგზებდნენ უალრესად გულთბილად, მეგობრულად. ვიმეორებენ, რომ თქვენ უკვე იცრქენთ, რომ ასეთე მსურველად და გულითადად გხვდებიან საბჭოთა მიწაწყალზე.

— ჯანმრთელობას ვუსურვებ ამხანაგ ფიდელ კასტროს, ჯანმრთელობასა და წარმატებას ვუსურვებ ყველა კუბელ მეგობარს!

— გაუმარჯოს გმირ კუბელ ხალხს, რომელიც სოციალიზმს ამენებს კომუნისტური პარტიისა და რევოლუციური მთავრობის ხელმძღვანელობით!

ჯერ მტკიცედ ბოდიშს ვიხდიდ საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დიდი პრინციპების საფუძველზე!

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ.

ჩვენმა ქვეყანამაც, რომელიც ლათინური ამერიკის, სხვა ქვეყნებ[illegible] ბსაკადესად ამერიკის იმპერიალისტურ სრულ ეკონომიურ და პოლიტიკურ კონტროლს ექვემდებარებოდ[illegible] მორა მისი უფლება და [illegible] რევოლუცია, შექმნა პირველი სოციალისტური სახელმწიფო ამერიკის კონტინენტზე, პირველად ადმართა მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი დროშა ატლანტის ოკეანის გადმა.

მარქსის, ენგელსისა და ლენინის პრინციპებისა და იდეების თანმიმდევრულმა განხორციელებამ მოგვაპოვებინა გამარჯვება, დაგვეხმარა განგვემტკიცებინა ეს გამარჯვება. კუბაში იმპერიალისტური, იდეოლოგიური შეიოდწევის ყველა ცდა გაგაძამტვერა მტკიცე რევოლუციურმა შეგნებამ, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმმა ჩაუნერგა ჩვენს ხალხს.

კუბის მკაცრი ეკონომიური ბლოკადა, რომელიც დღემდე გრძელდება, სხვადასხვა ფორმის ძირგამოთხრილი საქმიანობა, დაქირავებულთა თავდასხმები და ომის აგრესიის საფრთხე — აი ყოველივე ეს, რაც ჩვენმა ქვეყანამ გამოიარა. მაგრამ ჩვენ მარტოდმარტონი არ ვყოფილვართ ამ ბრძოლაში. უმთავრესად, საბჭოთა კავშირი, აგრეთვე სხვა სოციალისტური ქვეყნები შეძლებისდაგვარად ბეგიზეფიდნენ იარაღს, გვიწევდნენ ტექნიკურ და ეკონომიურ დახმარებას, რაც ჩვენრდებოდა იმისათვის, რომ საშუალება არ მიგვეცა იმპერიალისტებისათვის განეხორციელებინათ თავიანთი მიზანი — შიმშილით გადეტეხთ კუბელი ხალხის ნება.

დღეს რევოლუციური იდეების ბრალტიკი ბრწდება, და ისინი ვრეკენდნენ არა მარტო ლათინური ამერიკის ხალხებში, არამედ თვით ამერიკის საზოგადოებაშიც.

მიუხედავად მძიმე ომისშემდგომი პირობებისა, სოციალისტური ქვეყნების ეკონომიურ და [illegible] 25 წლიანწადში განსაკუთრებით დიდი ნაბიჯებია მოიპოვა. საბჭოური მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღალეთო მიღწევების მეოხებით ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე მკვეთრად შეიცვალა სოციალიზმის სასარგებლოდ.

სსრ კავშირის ძლიერების ზრდამ მტაცედ დაბრკოლება წარმოშვა იმპერიალიზმის ავანტიურობისა, საომარი აგრესიული პოლიტიკის გზაზე. ეს გადაწყვეტის ფაქტორი იყო მშვიდობისათვის ბრძოლაში, ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო მსოფლიოს ერების წარმატებათა მიღწევის ეპოქაში, ევროპის ახალგაზრდა სოციალისტური ქვეყნების ძალის გამოყენებაზე უარისთქმის, ომის საფრთხის შესუსტების მსოფლიოს ამ რაიონში, აგრეთვე ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ უმეშრეთის საკითხებზე ევროპის თათბირის მოწვევას.

იმპერიალიზმი იძულებული შეიქმნა წასულიყო მნიშვნელოვან დათმობებზე. ჩვენი პარტია მსარს უჭერს საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს მშვიდობის შენარჩუნებისათვის და თერმოიტომური ომის საშინელი საფრთხის თავიდან აცილებისათვის.

ჩვენ მოლიანად ვეთანხმებით თქვენს სიტყვებს, ამხანაგო ბრეჟნევ, იმის შესახებ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის დამკვიდრება და ამ გზაზე მოპოვებული წარმატებები სრულიადაც არ ნიშნავენ, რომ შესუსტდა იდეოლოგიური ბრძოლა და რომ ეს ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდება ორი სოციალური სისტემის ბრძოლის მსვლელობაში. ამ პოლიტიკური ბრძოლის მსვლელობაში იმპერიალიზმი, საერთაშორისო [illegible] [illegible] ეტლ [illegible] პოზიციებს ი[illegible] [illegible] ბ[illegible] [illegible] [illegible] [

ბრძოლები ინდოჩინეთში

ლონდონი. 28 ივნისი. (საკ-დესი). დღეს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანყოფილებებმა კვლავ მძლავრი იერიში მიიტანეს საგონის ჯარების პოზიციებზე ქალაქ მიუეს დასავლეთით.

ამავე დროს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების არტილერიამ მასირებულად დაუშინა ცეცხლი საგონელ მარინინტოთა მთელ რიგ გამაგრებულ პუნქტებს ამ რაიონში.

როგორც რეიტერის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყება, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ეს შეტევა მიუეს რაიონში უძლიერესია შეტევითი ოპერაციების ბოლო ორი თვის მანძილზე.

პარიზი. 27 ივნისი. (საკ-დესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანყოფილებმა უტიფენ საგონის ჯარების ნაწილებს, რომლებიც ანლოკის ბლოკადის გასარღვევად გაგზავნეს.

როგორც განთავისუფლების პრესის სააგენტო იუწყება, 23 და 24 ივნისს საგონის მეთვრამეტე დივიზიის წინააღმდეგ ოპერაციის დროს პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, და ტექნიკის მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს.

კოსან პატეტ ლაოს სააგენტო იუწყება ლაოსის პატრიოტული ძალების წარმატებებზე სამტონგ-ლონგჩენგის რაიონში. იქ მოწინააღმდეგემ სცადა წაერთვა პატრიოტებისათვის დაკავებული პოზიციები.

ჰანოი, 28 ივნისი. (საკ-დესი). უკანასკნელ დღეებში ამერიკის ავიაცია რამდენჯერმე დაეხსა თავს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქს. მოსახლეობაში არის მსხვერპლი, დაინგრა მთელი რიგი სამოქალაქო ობიექტები.

26 და 27 ივნისს ამერიკელებმა ბომბები დაუშინეს, კერძოდ, 79-ე საცხოვრებელ უბანს, კომლიენის რაიონსა და ჩინგ-დინის მუშათა დაბას, მთელ რიგ სამედიცინო დაწესებულებებს, მათ შორის ბატმის საავადმყოფოს, აგრეთვე კანოის ოთხ საგარეუბნო რაიონს — ზიალმს, თილიემს, თხანჩის, გონგანს, სადაც დაზიანდა სოფლები და ჯებირები.

საჰაერო თავდასხმის ამ ობიექტებს რომ ჩამოთვლის, ჰანოის პრესა აღნიშნავს ამერიკის მხედრიონის მძიმე დანაშაულს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების ამ მოქმედებას გადაჭრით გმობს დღეს გამოქვეყნებულ განცხადებაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და უშიშროების ხელყოფის ყველა აქტი.

აგრეთვარ ჯროვან პასუხს მიაგებენ.

ბაზეიმო საღამო პრალაში

პრაღა, 28 ივნისი. საკავშირო კორესპონდენტი ზ. ალბელეევი გვატყობინებს: ჩეხოსლოვაკიის მშრომელები ემზადებიან საბჭოთა ხალხთან ერთად ფართოდ და საზეიმო ვითარებაში აღნიშნონ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი.

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ ისლობით მცხოვრები შეიკრიბა პრაღის საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის სახლში სალამოზე „ამერიკასაკენ — საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ოჯახში“.

ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები შეხვდნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს, რომლებმაც ილაპარაკეს ამ გრანდიოზულ წარმატებებზე, რომლებსაც საქართველოს, ხოშეთისა და აზერბაიჯანის მშრომელებმა მიაღწიეს სსრ კავშირის არსებობის წლებში.

პრაღის პრომატორმა ზ. ზუსკამ გახსნა ხალხთა ამიერკავკასიისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენის ექსპონატები ასახავენ ცხოვრების ყველა დარგში ამ რესპუბლიკების მიღწევებს, იმას, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის მეცხრე ხუთწლედის ამოცანები. შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ რუსთავის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „სალხინოს“ გამოსვლას.

ᲐᲥᲢᲘᲕᲘ

● **საფრანგეთის მეფარეთა** ეროვნულმა საბჭომ განაცხადა, რომ მზად არის ხელი შეუწყოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

● **შეჩერდა სამუშაოები ლონდონ** სამუშაოები ინგლისის ბეერ ქალაქში — მეორე დღეა გაფიცული ორიან მშენებლები, დიდი ბრიტანეთის მუშათა კლასის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი რაზმი. ლონდონის გაზეთების წინასწარი გამოანგარიშებით, გაფიცვაში მონაწილეობს დაახლოებით 20 ათასი კაცი.

● **ინდოეთის მთავრობამ** 418 მილიონი რუპია გამოაკლო დასავლეთ ბენგალიის შტატში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისათვის. ქარხანა გამოუშვებს სპეციალური ხარისხის ფოლადს, რომელსაც დღემდე მხოლოდ კერძო სექტორის საწარმოები უშვებენ.

● **ამერიკის თავდაცვის** მინისტრის ლეირდისა და სამხრეთ კორეის თავდაცვის მინისტრის იუ ჩე ჰინის ორი დღის მოლაპარაკების შედეგად შეერთებულმა შტატებმა ვალდებულება იკისრა სამხრეთ კორეას გაუგზავნოს სამი საპატრულო საბრძოლო ხომალდი და მათ შესასყიდად ასესხოს 16 მილიონი დოლარი.

● **ამერიკის შეერთებული შტატები** კვლავ ინახავს მომწამვლელ გაზებს ოკინავაზე. როგორც გაზეთი „სანკეი სიმბუნი“ წერს, ამ დღეებში ერთ-ერთ სამხედრო ბაზაში მოიწამლა რამდენიმე ამერიკელი ჯარისკაცი და ია-პონელი მუშა.

● **შეერთებულ შტატებში** აღმოაჩინეს დამნაშავეთა ჯგუფი, რომელიც ნარკოტიკებს ავრცელებდა. შტატებში ჰეროინების შემოტანის ერთ-ერთ მთავარ ახალ წყაროს წარმოადგენენ ჩინელი მეზღვაურები. ჩინელ მატროსებს, რომლებიც სავაჭრო გემებზე მსახურობენ, ჰეროინების დიდი პარტიები შემოაქონდათ ნორფოლკში, ახალ ორლეანში, ლოს-ანჯელესში, ნიუ-იორკში, ჩიკაგოსა და სხვა ნავსადგურებში.

● **პერანიის ფედერალიული რესპუბლიკის** ჩრდილოეთში ვეზელის რაიონში საწვთინელი ფრენის დროს კატასტროფა მოუვიდა და დაიმსხვრა ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების „პარიერის“ ტიპის თვითმფრინავი. პილოტი პარაშუტით გადმოხტა და გადარჩა.

● **ჰონანიუს კუნძულის** (იაპონია) კანტონსა და ტოჰოკუს რაიონებში მოხდა მიწისძვრა. მიწისძვრის ცენტრი იმყოფებოდა ზღვაში 40 კილომეტრზე ფუკუსიმის პრეფექტურის სამხრეთით. შვიდბალიანი სკალით სამი ბალის ძალის ბიძგი აღინიშნა ქალაქებში ფუკუსიმაში, სირაკავასა და ისინომაკში.

● **იაპონიის სასეზოს** ნავსადგურში შევიდა ჩანკაიშელთა ორი სამხედრო ხომალდი. ამ ხომალდებზე 774 სამხედრო მეზღვაურია. სასეზოს მცხოვრებნი დაუპატიჟებელ სტუმრებს საპატიესტო დემონსტრაციით შეხვდნენ. ქალაქ სასეზოს მერი ხომალდების ვიზიტის წინ ეწვია ია-პონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და გაცხადა, რომ არ სურს შეხვდეს ჩანკაიშელთა სამხედრო მეზღვაურებს.

● **ინდოეთის ასამინ შტატში** ძლიერმა მუსონურმა წვიმებმა აადიდეს მდინარე ბრაჰმაპუტრა. წყალდიდობის შედეგად ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, არის მსხვერპლი. შტატის ეკონომიკას მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდა.

ᲞᲐᲥᲩᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲗᲔᲣᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ

27 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის რეკომენდაციის მეორეული მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მეთეურე სესია.

სესია გახსნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა შ. ბუხრაშვილმა.

სესიის თავმჯდომარედ აირჩიეს დეპუტატი ი. თურმანიძე, მდივნად — დეპუტატი მ. გელოვანი.

მუშაობის შესახებ, რომელსაც ქალაქ თბილისის პირველი მაისის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი ეწევა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების შესასრულებლად, მოხსენება გაიკეთა პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ჯ. ჭყონიამ. კამათში გამოვიდნენ ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დეპუტატი ს. სარიშვილი, საქალაქო საბჭოს კომუნალური მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი გ. გოგოლა, პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალისტური კანონიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ვ. ზაქარიაძე, თბილისის საქალაქო საბჭოს კულტურის განყოფილების გამგე დეპუტატი ც. ქოჩრიაშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს მოსახლეობის [illegible] საქალაქო საბჭოს [illegible] საქართველოს [illegible] — [illegible] საქალაქო [illegible] საქართველოს [illegible] — [illegible] საქალაქო [illegible] [illegible] — [illegible] [illegible] [illegible]

ნონა გაფრინდაშვილი მეოთხე დაფნის მფლ.
მ. ზარგარიანის ფოტო.

უიმბლდონის კორტებზე

ა. მეტრეველი — მესამე წრეში

ლონდონი. დაიწყო ჩოგბურთელთა ყველაზე პოპულარული საერთაშორისო ასპარეზობა — უიმბლდონის ტურნირი. საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი, საზღვარგარეთის ქვეყნების არაერთ და ჩემპიონატში გამარჯვებული ალექსანდრე მეტრეველი წარმატებით გამოვიდა პირველ ორ წრეში. მან ჯერ სამივე პარტიაში დაამარცხა იტალიელი ბ. მარზანი, ხოლო შემდეგ ფრანგი ბ. დომინგეხი — 7:9, 6:1, 6:4, 6:4. ბრძოლას გამოეთიშა ბაქოელი ს. ლეხაჩოვი, როშელმაც წააგო ფრანგ ბ. პრუასისთან.

სპორტი

ვეტერანის ორი რეკლიკა

თბილისის „დინამო“ ერთთვიანი გასვლითი მატჩების წინ

„დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) — 1:0 (0:0).

28 ივნისი, თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი, მსაჯი ბ. სტრმლეცკი (დონეცკი).

„დინამო“ — გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, მჭედლიშვილი, რეხვიაშვილი, ყიფიანი, ლ. ნოდია.

„ზენიტი“ — პრონინი, დერიომოვი, ლოხოვი, ბულავინი, ზაგუმენნოი, სადირინი, კოხი, ვიუნი (ბურნალკინი), ტრემბაჩი (გონჩაროვი), ზინჩენკო, ფოკინი.

პრესის ლოტაში მყოფმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. პარამონოვმა სინანულით წარმოთქვა — „აღარ მიკვირს, ჩვენი მატჩები მეტწილად უგოლოდ რომ მთავრდება. მწვავე შეტევასა და კარში დარტყმაზე მაინცადამაინც არავინ იწუხებს თავს, მოედნის ცენტრში კი „გაგორებულ-გამოგორებული“ ბურთი აბა რა შედეგს მოგვცემს“. ძველი სპარტაკელის, წარსულში სსრ კავშირის ნაკრების მეორე მწვრთნელის ეს განსაზღვრა შეხვედრის პირველი ნახევრისათვის უზუსტესად მოგვაჩნია.

მართლაც, შესვენებამდე მხოლოდ სამოდე მწვავე მოძენტი აღვნუსხეთ: ორჯერ გავაშელის ზუსტი ჩაწოდებიდან მზანს ვერ მიაღწიეს რეხვიაშვილმა და ყიფიანმა, ხოლო ერთხელ თავისუფალი დარტყმის დროს ხელსაყრელი შესაძლებლობა დაკარგეს სტუმრებმა. ეს იყო და ეს.

მეორე ნახევარი სანახაობრივად შედარებით საინტერესო გამოდგა. ნაყოფიერად მოქმედებდა ყიფიანი. ცხადია, მარტო ერთი ფეხბურთელი სასურველ ამინდს ვერ შექმნის. ასეც იყო. ძოძუაშვილმა, პეტრიაშვილმა და, განსაკუთრებით, ხურცილავამ იგრძნეს რა მეტოქის უკბილო შეტევები, რამდენჯერმე გაბედეს წინა ხაზის „საქმეებში“ ჩარევა.

შედეგმაც არ დააყოვნა: 58-ე წუთზე მჭედლიშვილმა მიიღო ძოძუაშვილის ზუსტი გადაცემა და დაახლოებით 23-25 მეტრი მანძილიდან ბურთი „ზენიტის“ კარის ბადეში გაგზავნა.

1:0 თბილისელთა სასარგებლოდ. ეს ანგარიში შემორჩა ელექტროტბლოს მსაჯის ფინალურ სასტვენამდე, მიუხედავად ყიფიანის, რეხვიაშვილისა და ლ. ნოდიას არაერთი ცდისა.

და ბოლოს. ისევ ა. პარამონოვის აზრი (იგი თბილისში ნაკრების წევრების ხურცილავასა და ძოძუაშვილის თამაშის მეთვალყურედ იყო მოვლინებული საკავშირო ფედერაციის მიერ): „ვფიქრობ, თამაში გაცილებით მოიგებდა, მოედანზე „პატარა“ ნაკრების წევრები: გ. ნოდია, გუცაევი, და განსაკუთრებით, ბრაზილიაში გამგზავრებული ასათიანი რომ გვეხილა!“

ო. ნოზაძე.

მატჩები, შედეგები

გუშინ ჩვენი ქვეყნის უქვს ქალაქში გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები (ამ ტურის შეხვედრა ვოროშილოვგრადის „ზარიასა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ შორის 20 ივნისს შედგა).

ბათამაშეების ერთ-ერთი ლიდერი — **არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის** გუნდი **ერევანს** ეწვია და ადგილობრივ „არარატთან“ შეხვედრაში დამარცხდა ანგარიშით 0:2.

ბაქოს „ნეფტჩი“ მასპინძლობდა ქვეყნის ჩემპიონს **კიევის** „დინამოს“. ეს ასპარეზობა დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 4:1. ამ მატჩში სამი ბურთი გაიტანა ვ. მუნტიანმა.

ალმა-ათაში შეხვედრა ჰქონდათ ადგილობრივ „კირატსა“ და **მოსკოვის** „სპარტაკს“. ამ ორთაბრძოლის შედეგი 1:0 მასპინძლების სასარგებლოდ.

დონის როსტოვის სკა, რომელიც უკანასკნელ ტურებში ცდილობს საბოლოოდ დაადწიოს თავი აუტსაიდერობას, საკუთარ მოედანზე იღებდა **ლვოვის** „კარპატს“. არმიელებმა ამჯერადაც გაიმარჯვეს 3:1.

ვოსკოვში ასპარეზობდნენ ადგილობრივი გუნდები — „ლოკომოტივი“ და „დინამო“. მატჩის ანგარიშია 3:1 დინამოელთა სასარგებლოდ.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 29 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ზარია“	13	9	2	2	23-10	20
„დინამო“ (თბ.)	12	7	3	2	14-5	17
ცსკა	12	6	2	4	13-11	14
„ტორპედო“	13	5	4	4	11-14	14
„დინამო“ (კ.)	11	5	3	3	17-13	13
„არარატი“	12	4	4	4	17-10	12
„დნეპრი“	12	3	6	3	11-16	12
„სპარტაკი“	11	4	3	4	10-10	11
„დინამო“ (ზნ.)	12	3	5	4	9-11	11
„კირატი“	13	2	7	4	9-11	11
სკა	13	4	3	6	15-18	11
„დინამო“ (მ.)	10	4	2	4	12-12	10
„ზენიტი“	12	3	4	5	14-16	10
„ნეფტჩი“	11	3	3	5	9-13	9
„კარპატი“	13	3	3	7	10-17	9
„ლოკომოტივი“	12	2	4	6	8-15	8

სპარტაკიადა ყინულზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ფიგურული სრიალის სკოლაში 250 მოცეკვავე მეცადინეობს. სასწავლო წლის განმავლობაში სკოლის აღსაზრდელები ფიგურული სრიალის ანბანს ეუფლებიან. დღეს კი მათ სასკოლო სპარტაკიადის პროგრამით საჩვენებელი გამოსვლები აქვთ. ბავშვები ერთმანეთს მძლეოსნობაში, ცურვაში, აკრობატიკასა და, რა თქმა უნდა, ფიგურულ სრიალში ეჯიბრებიან. მალე გამოვლინდება გამარჯვებულიც.

* * *

ხურათებზე: ზემოთ — ჰუსარულ ცეკვას ასრულებს მეორეთანრიგოსანი **ნინო ანანიაშვილი;** ქვემოთ — **ლია ნაკაიძეს** მოზარდთა პირველი თანრიგი მიიღო.

ა. რუხაძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ნონა გაფრინდაშვილი მეოთხე დაფნის მფლ.
მ. ზარგარიანის ფოტო.

უიმბლდონის კორტებზე

ა. მეტრეველი — მესამე წრეში

ლონდონი. დაიწყო ჩოგბურთელთა ყველაზე პოპულარული საერთაშორისო ასპარეზობა — უიმბლდონის ტურნირი. საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი, საზღვარგარეთის ქვეყნების არაერთ და ჩემპიონატში გამარჯვებული ალექსანდრე მეტრეველი წარმატებით გამოვიდა პირველ ორ წრეში. მან ჯერ სამივე პარტიაში დაამარცხა იტალიელი ბ. მარზანი, ხოლო შემდეგ ფრანგი ბ. დომინგეხი — 7:9, 6:1, 6:4, 6:4. ბრძოლას გამოეთიშა ბაქოელი ს. ლეხაჩოვი, როშელმაც წააგო ფრანგ ბ. პრუასისთან.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1972-73 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

I. სწავლება წარმოებისაგან მოწყვეტით

გეოლოგიური ფაკულტეტი

1. მარგი წიაღისეულის საბადოთა გეოლოგია და დაზვერვა (ქართული სექტორი), 2. ნავთობისა და გაზის საბადოთა გეოლოგია და დაზვერვა (რუსული სექტორი), 3. ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია (ქართული სექტორი). 4. მარგი წიაღისეულის საბადოთა დაზვერვის ტექნოლოგია და ტექნიკა (ქართული სექტორი).

სამთო ფაკულტეტი

1. სამარკშეიდერო საქმე (ქართული სექტორი), 2. მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია (ქართული სექტორი), 3. მარგი წიაღისეულის გამდიდრება (ქართული სექტორი), 4. სამთო მანქანები და კომპლექსები (ქართული სექტორი), 5. სამთო სამუშაოთა ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია (ქართული სექტორი).

ენერგეტიკული ფაკულტეტი

1. ელექტრული სადგურები (ქართული და რუსული სექტორები), 2. ელექტრული სისტემები და ქსელები (ქართული სექტორი), 3. სამრეწველო საწარმოთა, ქალაქებისა და სოფლის მეურნეობის ელექტრომომარაგება (ქართული და რუსული სექტორები), 4. თბოელექტროსადგურები (ქართული სექტორი), 5. სამრეწველო თბოენერგეტიკა (ქართული და რუსული სექტორები), 6. ელექტრომძრავ და სამრეწველო დანადგართა ავტომატიზაცია (ქართული სექტორი).

მეტალურგიული ფაკულტეტი

1. შავი ლითონების მეტალურგია (ქართული სექტორი), 2. შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება (რუსული სექტორი), 3. ლითონთმცოდნეობა, ლითონთა თერმული დამუშავების მოწყობილობა და ტექნოლოგია (ქართული და რუსული სექტორები), 3. სატრიკოტაჟო წარმოება (ქართული სექტორი), 4. სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 5. ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 6. ქსოვა (რუსული სექტორი), 7. ბურის ცხობის, მაკარონისა და საკონდიტრო წარმოებათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 8. საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგია და ორგანიზაცია (ქართული სექტორი).

II. წარმოებისაგან მოუწყვეტლივ

ა. საღამოს სწავლება

თბილისის საღამოს სწავლების ფაკულტეტი (თბილისი, ლენინის ქუჩა № 64).

1. ხიდები და გვირაბები (ქართული სექტორი), 2. ავტომატიკა და ტელემექანიკა (რუსული სექტორი), 3. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა (ქართული სექტორი), 4. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული სექტორი). 5. ელექტრონული გამომთვლელი მანქანები (ქართული სექტორი), 6. თბოიარმომარაგება და ვენტილაცია (ქართული სექტორი).

რუსთავის საღამოს სწავლების ფაკულტეტი (ქ. რუსთავი, რუსთაველის ქ. № 16).

1. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა (ქართული სექტორი), 2. შავი ლითონების მეტალურგია (ქართული სექტორი), 3. ლითონთმცოდნეობა, ლითონთა თერმული დამუშავების მოწყობილობა და ტექნოლოგია (რუსული სექტორი); 4. არაორგანულ ნივთიერებათა და ქიმიური სასუქების ტექნოლოგია (ქართული სექტორი). 5. ლითონების წნევით დამუშავება (ქართული სექტორი), 6. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული სექტორი).

ჟუთაისის ფაკულტეტის საღამოს განყოფილება (ქ. ჟუთაისი, ახალგაზრდობის პროსპექტი № 62).

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული სექტორი), 2. საშემდუღებლო წარმოების მოწყობილობა და ტექნოლოგია (ქართული სექტორი).

გორის საღამოს სწავლების ფაკულტეტი (ქ. გორი, საბჭოს ქუჩა № 37).

1. საავტომობილო გზები (ქართული სექტორი), 2. ელექტრული სისტემები და ქსელები (ქართული სექტორი).

ბიათორის საღამოს სწავლების ფაკულტეტი (ქ. ბიათორა, კომკავშირის ქ. № 13).

1. მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია (ქართული სექტორი), 2. სამთოსამუშაოთა ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია (ქართული სექტორი).

ტყიბულის საღამოს სწავლების ფაკულტეტი (ქ. ტყიბული, გურამიშვილის ქ. № 7).

1. მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია (ქართული სექტორი), 2. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა (ქართული სექტორი), 3. შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება (ქართული სექტორი, სწავლება იწყრმოებს ქ. ზესტაფონში).

ფოთის საღამოს სწავლების ფაკულტეტი (ქ. ფოთი, მახარაძის ქ. № 11).

1. წყალმომარაგება (ქართული სექტორი), 2. სამრეწველო საწარმოთა, ქალაქებისა და სოფლის მეურნეობის ელექტრომომარაგება (ქართული სექტორი).

ბათუმის საღამოს სწავლების ფაკულტეტი (ქ. ბათუმი, გორკის ქ. № 96).

1. სამრეწველო საწარმოთა, ქალაქებისა და სოფლის-მეურნეობის ელექტრომომარაგება (ქართული სექტორი), 2. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული სექტორი), 3. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა (ქართული სექტორი), 4. ეელექტრომომარაგება (ქართული სექტორი).

ჟუთაისის ფაკულტეტის საღამოს განყოფილება (ქ. ჟუთაისი, ახალგაზრდობის პროსპექტი № 62).

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული სექტორი), 2. საშემდუღებლო წარმოების მოწყობილობა და ტექნოლოგია (ქართული სექტორი).

ბ. დაუსწრებელი სწავლება

(სწავლება ყველა ჩამოთვლილ სპეციალობაზე იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე).

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი (ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 64).

1. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა.

დაუსწრებელი სწავლების მექანიკა-სამთო-მეტალურგიული ფაკულტეტი (ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 64).

1. შავი ლითონების მეტალურგია, 2. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები.

დაუსწრებელი სწავლების მექანიკა-სამთო-მეტალურგიული ფაკულტეტის ფაკულტეტები

ა) თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხანასთან (ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი).

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები.

ბ) თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანასთან (ქ. თბილისი, ხმელნიცის ქ. № 171).

1. თვითმფრინავთმშენებლობა.

სამშენებლო-სატრანსპორტო ფაკულტეტი (ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 64).

1. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა.

დაუსწრებელი სწავლების მექანიკა-სამთო-მეტალურგიული ფაკულტეტი (ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 64).

1. შავი ლითონების მეტალურგია, 2. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები.

დაუსწრებელი სწავლების მექანიკა-სამთო-მეტალურგიული ფაკულტეტის ფაკულტეტები

ა) ბაკურიანის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი (ქ. თელავი, ბაგრატიონის ქ. № 22).

1. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა.

ქარხნებთან არსებული დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი

ა) თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხანასთან (ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი).

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები.

ბ) თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანასთან (ქ. თბილისი, ხმელნიცის ქ. № 171).

1. თვითმფრინავთმშენებლობა.

ჟ. სოხუმის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის ზუგდიდის სასწავლო საკონსულტაციო პუნქტი (რუსთაველის ქუჩა № 76).

1. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში მიღების წესები იგივეა, რაც სსრ კავშირის ყველა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისათვის. დღის სტაციონარზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ შემდეგ დისციპლინებში:

სამთო, გეოლოგიურ, ენერგეტიკულ, მექანიკა-მანქანათმშენებლობის, ავტომექანიკურ, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, ელექტრონიკისა და კავშირგაბმულობის, სამშენებლო, ჰიდროტექნიკის და სანტექნიკის, სატრანსპორტო, საინჟინრო ფიზიკური და მეტალურგიული ფაკულტეტის სპეციალობა, სამემდუღებლო წარმოების მოწყობილობა და ტექნოლოგია: 1. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. მათემატიკა (წერა და ზეპირი), 3. ფიზიკა (წერა), არჩეტექტრის ფაკულტეტზე შემსვლელნი: 1. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. ნატერა, 3. ხატვა, 4. მათემატიკა (წერა) და 5. ფიზიკა (წერა).

ქიმიური და კვების ტექნოლოგიის, მეტალურგიული ფაკულტეტების ყველა სპეციალობაზე (გარდა ხაშმდუღებლისა) წარმოების მოწყობილობა და ტექნოლოგიის სპეციალობისა) და ჭუთაისის ფაკულტეტის დღის განყოფილებაზე შემსვლელნი: 1. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. ქიმია (წერა), 3. მათემატიკა (ზეპირი), 4. ფიზიკა (წერა).

საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ იმავე საგნებში, რაშიც დღის სტაციონარის სათანადო სპეციალობაზე.

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ანდა საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ერთ-ერთ საგანში, სახელდობრ:

არქიტექტურის სპეციალობაზე შემსვლელნი — ხატვა.

ყველა სხვა ფაკულტეტსა და სპეციალობაზე შემსვლელნი — მათემატიკა (წერა და ზეპირი).

ამ საგანში გამოცდის „ხუთზე“ ჩაბარებისას როგორც წერაში, ისე ზეპირში, ისინი თავისუფლდებიან სხვა საგნებში მიღების გამოცდების ჩაბარებისაგან. ხოლო „ოთხის“ ან „სამის“ მიღებისას აბარებენ გამოცდებს ყველა სხვა შესაბამის საგანში.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე ფაკულტეტის, სპეციალობისა და სექტორის ჩვენებით (განცხადების დაწესებული ფორმის ბლანკების გაცემას აწარმოებენ სათანადო დეკანატები). **განცხადებას უნდა დაერთოს:** 1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, გაცემული სამუშაო ადგილიდან, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ, კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთათვის სკოლის ხელმძღვანელებისა და საზოგადებრივი ორგანიზაციების მიერ; 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან არანაკლებ ორი წლის მუშაობის სტაჟის მქონე პირთათვის, დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ, კოლმეურნეობათა — ამონაწერი კოლმეურნეობის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, სადაც ნაჩვენები უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელის მიერ ყოველ წელს ცალ-ცალკე გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა კოლმეურნეობისათვის დაწესებული შრომადღეების მინიმუმის აღნიშვნით; 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 5. ხუთი ფოტოსურათი (უქუთოდ, ზომით 3X4).

ინსტიტუტში გამოცხადებისას შემსვლელი პირადად ადგენს პასპორტს და სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედროვალდებულნი) ან მიწერის მოწმობას (გასწავეები ასაკის პირები);

სწავლების ყველა სახეზე შემსვლელთაგან სიბუთები მიიღება 1972 წლის 30 ივლისამდე სათანადო ფაკულტეტების მიერ.

ა) სამშენებლო, მექანიკა-მანქანათმშენებლობის, ავტომექანიკური, სატრანსპორტო, არქიტექტურის, ჰიდროტექნიკის და სანტექნიკის და საინჟინრო ფიზიკის — I **სასწავლო კორპუსი, ლენინის ქუჩა № 64.**

ბ) ქიმიური და კვების ტექნოლოგიის და მეტალურგიული — II **სასწავლო კორპუსი, ლენინის ქუჩა № 69.**

გ) ენერგეტიკული, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, კავშირგაბმულობისა და ელექტრონიკის, სამთო და გეოლოგიური — III **კორპუსი, ლენინის ქ. № 77.**

დ) ჭუთაისის ფაკულტეტის დღის განყოფილება — ქ. **ჭუთაისი, ახალგაზრდობის პროსპექტი № 62.**

წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლების ფაკულტეტზე შემსვლელთათვის მისაღები გამოცდები ჩატარდება 1972 წ. 1 აგვისტოდან ქ. თბილისში, ხოლო ჭუთაისის ფაკულტეტის დღის განყოფილებაზე შემსვლელთათვის — ქ. ჭუთაისში.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლების ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის მისაღები გამოცდები ჩატარდება 1972 წლის 1 აგვისტოდან: თბილისს, რუსთავს, გორის საღამოს სწავლების ფაკულტეტებზე და დაუსწრებელი სწავლების თბილისის ქარხნებთან არსებულ სამშენებლო-სატრანსპორტო, მექანიკა-სამთო-მეტალურგიულ ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის ქ. რუსთავში (რუსთაველის ქ. № 16), ფოთის, ბათუმის, ჭიათურის, ტყიბულის საღამოს სწავლების ფაკულტეტებზე, ჭუთაისის ფაკულტეტის საღამოს განყოფილებაზე და დაუსწრებელი სწავლების სოხუმის ფაკულტეტზე და ამავე ფაკულტეტის ზუგდიდის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში შემსვლელთათვის — ქ. ქუთაისში (ახალგაზრდობის პროსპექტი, № 62).

მისაღები გამოცდები ჩატარდება იმ პროგრამებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამის შესაბამისად.

არჩეული სპეციალობისადმი მიდრეკილების გამოვლინების მიზნით ყველა შემსვლელთან ჩატარდება გასაუბრება.

კონკურსი გაიმართება სპეციალობების მიხედვით.

ინსტიტუტში ჩაბარებულნი საერთო საცხოვრებლით არ იქნებიან უზრუნველყოფილნი.

დაშვებულებითი ცნობების მიღება შეიძლება სათანადო ფაკულტეტებზე და ინსტიტუტის მიმღებ კომისიაში (ლენინის ქ. № 77, სამთო კორპუსი).

ქირჩიე, სად ისწავლი!



რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

29 ივნისი

პირველი პროგრამით

16.05 — ბავშვებისათვის, ქართული მხატვრული ფილმი „სად არის შენი ბედნიერება, მზია“, 17.30 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 18.15 — ახალი ამბები, 18.20 — „სსრკ-50“ — „ნორჩ მოჭადრაკეთა ასპარეზობა“, 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — „კანონი და კანონიერება“, 19.20 — ჩვენი სტუმრები, 19.30 — „გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ — 50 წლისთავისადმი“ (ვიდეოჩანაწერი), 22.30 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან) — ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამით

18.05 — განცხადებები, 18.10 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მსაზველობით გეომეტრიაში, 19.10 — ლექცია მასალათა გამძლეობაში, 19.55 — მხატვრული ფილმი „მისია ქაბულში“ (I სერია).

30 ივნისი

პირველი პროგრამით

16.00 — აბიტურიენტთათვის — ლექცია ქართულ ენაში, 16.45 — ლექცია მათემატიკაში, 17.30 — ახალი ამბები, 17.35 — განცხადებები, 17.40 — საბავშვო ფილმი 18.30 — „სსრკ-50“ — „მეგობრების ნობათი“, 19.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — კონცერტი, 20.00 — სატელევიზიო ჟურნალი „იავნანა“, 21.00 — „გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, 21.20 — „ბოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.45 — „გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს რეპორტაჟი“ (ვიდეოჩანაწერი), 22.30 — „ვრემია“ საინფორმაციო პროგრამა (ვიდეოჩანაწერი), 23.00 — „სპორტული პროგრამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.15 — განცხადებები, 18.10 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 19.10 — ლექცია სკკპ ისტორიაში, 20.00 — მხატვრული ფილმი — „მისია ქაბულში“ (II სერია).

თეატრები

29 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაისა; **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — დავიწყებული ამბავი (პრემიერა); **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ხსოვნა გულისა; **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — კურკას ქორწილი.

** კომუნისტი**

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პრობლემების — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-69-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-23-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 02582

ხელ. ან ...-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.